1837 1907 1957

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 31 (203) | გამოცემის მეექვსე წელი | პარასკევი, 25 ოქტომბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

„მეცნიერება საღაროა, საცა აწევია უკეთესი განძი — ადამიანის უკეთესი ჭკვითა და გრძნობით მოპოებული; იგი უდიდესი ტაძარია... სადაც განუქრობლად ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულის ჭეშმარიტებისა".

ილია ჭავჭავაძე

ნახ. ვ. რუხეცკისა

დიდი ილია

ილია ჭავჭავაძეს ქართველი ხალხი ფეხზე მოხიარულე საქართველოსა და XIX საუკუნის ქართული აზროვნების ტახტის მპყრობელს უწოდებს და ამ სიტყვებით გამოთქმულია უკვდავი ჭეშმარიტება.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებთან ერთად ზეიმით აღნიშნეს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველი ერის სულიერი წინამძღოლის, მისი მედროშის — ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავი.

ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სათავეში ჩაუდგა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების პროგრესულ, ცოცხალ ძალებს, შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლისთანავე იგი ქართველი ხალხის დიდი მესიტყვე გახდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრების არცერთ სფეროში არ წამოჭრილა ისეთი საქვეყნო საკითხი, რომელსაც დიდი ილია არ შეხებოდეს თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითა და ნაყოფიერი პრაქტიკული მოღვაწეობით. იგი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საჭირბოროტო პრობლემის ხალხის საკეთილდღეოდ გადამჭრელი თქრთპირი იყო. ილია თავისი სამშობლოს ყველა წყლულისათვის ეძებდა წამალს, ებრძოდა ქვეყნის მტრებს სულიერი ცხოვრების ყველა ფრონტზე — ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ესთეტიკაში, ისტორიოგრაფიაში, არქეოლოგიაში, ეკონომიურ მეცნიერებაში...

ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრების ლედაბოძი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, ქართველი ერის ბედნიერი მომავლის დიდი წინასწარმეტყველი, ქართული ლიტერატურისა და პრესის ბურჯი და სულისჩამდგმელი, ქართული თეატრისა და საერთოდ ქართული კულტურის მოამაგე.

ილია ჭავჭავაძე ითვლება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად და დიდ ოქრომჭედლად ქართული ენისა. იგი იყო დიდი დემოკრატი მწერალი-მოღვაწე, რომელიც ეზიარა მოწინავე რუსულ ლიტერატურას, ხელოვნებას, ფილოსოფიას. მან საქართველოში გაავრცელა დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვისა და გერცენის პროგრესული იდეები და მათი შემოქმედებითად გაგების შედეგად დაამკვიდრა ახალ ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმი.

ნახევარი საუკუნის წინათ მეფის რუსეთის რეაქციულმა ძალებმა წინამძღრთან ვერაგულად მოკლეს ბუმბერაზი ადამიანი — ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მტრის ტყვია უძლური აღმოჩნდა მოეკლა ილიას სიტყვა და საქმე, ჩაექრო ის დიდებული ნათელი, რომელიც ილიას აზრმა აღმოაბრწყინა.

ჩვენი უნივერსიტეტი — მეცნიერების ეს დიდი ტაძარი — ილია ჭავჭავაძის მადლიანი ქალამის შუქია, მის თაღებ ქვეშ ახმაურებული სიჭაბუკე ილიას ტყვიამიუკარებელი გულის დაუდუმებელი ხმაურია. ილიამ დაარწია ჩვენი უნივერსიტეტის აკვანი, იგი იყო მისი დაარსების სულისჩამდგმელი და უნივერსიტეტიც ილიას ცოცხალი ძეგლია, რომელიც ბედნიერი სიჭაბუკით გულჩადგმული სუნთქავს და საბჭოთა სამშობლოს მაღიდებელ თაობებს მეცნიერების მწვერვალებისაკენ ნათელ გზებს უჩვენებს.

საბჭოთა წყობილებამ ილია ჭავჭავაძის სახელს და მის შემოქმედებას ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში, მან ილიას უკვდავი შემოქმედება მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის კუთვნილებად აქცია.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..." თქვა დიდმა ილიამ და ჭეშმარიტად ეს ასეც არის.



ილიას

ვით შენი თერგი,
თერგი მომსკდარ მთის ზვავთა რისხვა,
სულ მოძრაობდი,
დასვენებას არ აპირებდი;
კიდევ ბევრს ივლი,
მაგრამ მაინც ვერასდროს მიხვალ
შენი სიცოცხლის სანაპირომდი...

შენს დიდ ნატერფალს
ჟამთა ქროლვა, აბა, ვით წაშლის?
ან შენს ჯმუხ ტოტებს
ვით შეარყევს ელვა დგანდგარით?
შენ არ გახმები,
მუხავ, რადგან არა მიწაში,—
ხალხის გულში გაქვს ფესვი გამდგარი!..

გიორგი შეთეკაური

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო სამეცნიერო სესია უნივერსიტეტში

18 ოქტომბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ქართველი მწერლის — ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი.

სამეცნიერო სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს: პროფ. მიხ. ზანდუკელმა — „ი. ჭავჭავაძე მწერალი და მოქალაქე"; დოც. ს. ჭილაიამ — „ი. ჭავჭავაძე და ქართული საბჭოთა ლიტერატურა"; დოც. ვ. ბახტაძემ — „ი. ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებანი"; დოც. ივ. გიგინეიშვილმა — „ი. ჭავჭავაძე და ქართული სალიტერატურო ენა"; პროფ. ალ. ბარამიძემ — „ი. ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა"; დოც. შ. რევიშვილმა — „ი. ჭავჭავაძე და საზღვარგარეთული ლიტერატურა"; პროფ. გ. თავზიშვილმა — „ი. ჭავჭავაძე და ქართული პედაგოგიკა".

* * *

სამეცნიერო სესიის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის თვითმოქმედმა დრამატიულმა კოლექტივმა წარმოადგინა ინსცენირება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებიდან — „ოთარაანთ ქვრივი".

ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნა უნივერსიტეტის ეზოში

18 ოქტომბერს, დღის 2 საათსა და 30 წუთზე უნივერსიტეტის ეზოში შედგა ხალხმრავალი მიტინგი მიძღვნილი დიდი ქართველი მწერლის — ილია ჭავჭავაძის ძეგლის საზეიმო გახსნისადმი. მიტინგი გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის პრორექტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში პროფ. სერგი ჟღენტმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ დოც. ბესარიონ ჟღენტი და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ჯავახიშვილი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებმა — კორნელი კეკელიძემ და აკაკი შანიძემ ძეგლს საბურველი ჩამოაცილეს. დღეიდან უნივერსიტეტის ეზოს დაამშვენებს დიდებული ილიას უკვდავი სახე.

ილიას ძეგლის ფიგურის ავტორია მოქანდაკე ვ. თოფურიძე, ძეგლის პროექტი ეკუთვნის კ. ნასუცრიშვილს. კვარცხლბეკის სიმაღლე უდრის 1,75 მ.

სურათზე: ილია ჭავჭავაძის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში.

ჩვენ უნდა ჩვენი ვქმნათ მყოფადი,

„და, თუნდ მოვკვდე,
არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე,
რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა
ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა
მან თვისი ვალი...“

ილია ჭავჭავაძე

ჩვენი ილია

1907 წლის 30 აგვისტო... საგურამოს გზაზე სამჯერ დასცალეს ბერდანი, სამჯერ აჰგარდა თეთრი ბოლი, სამჯერ გამოსცეს მთებმა ეს შემაზრზენი ხმა, სამჯერ გამოეხმაურნენ მას ტყეები და იხეე სიჩუმემ დაისადგურა... სუნთქვა შეწყვიტა ადამიანმა, ვისი გულიც და ფიქრიც, ვისი მაჯისცემაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მხოლოდ მშობლიურ მხარეს, თავის ხალხს ეკუთვნოდა.

ატირდნენ მთები, მწვანეთმოსილი მშობლიური ყვარლის მთები, ბობოქარი თერგი და ამაყი მყინვარი; თავები დახარეს ხეებმა; აქვითინდა ბალახი... საოცნებო ციური ნამის ნაცვლად მას პოეტის თბილი სისხლი ეპკურა... ატირდა მთაწმინდა, თავის კალთებში რომ მიიღო ღირსეული მამულიშვილი, მაგრამ „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“, — თქვა ილიას დაკრძალვის დღეს მოხუცმა აკაკიმ და ქართველმა ხალხმა სინამდვილედ აქცია ეს სიტყვები.

ილია! — ახსენებ ამ სახელს და თვალწინ წარმოგიდგება მომღიმარი ქართველი სახე, ესოდენ ალერსიანი და საყვარელი; ტკბილი ღიმილით გაბრწყინებული თვალები, ნათელი შუბლი და სპეტაკი წვერი. ილია ხომ ქართველი მამულიშვილების იმ ღირსეულ პლეადას ეკუთვნის, ვისი სახელიც ესოდენ ძვირფასია ქართველი ხალხისათვის! მის ბასრსა და გულში ჩამწვდომ სტრიქონებს რომელი ქართველი არ აუღელვებია, აუფორიაქებია?!. ბევრისათვის თვალზე ცრემლიც მოუდენია და მამულის კეთილდღეობისათვის საბრძოლველად აუგზნია.

ნახევარ საუკუნეზე მეტი კალამტარივით ენთო ეს სპეტაკი გრძნობისა და მგზნებარე სულის ადამიანი, იწოდა მამულის სიყვარულით და ნათელი მომავლის გზას უნათებდა თავის ხალხს.

ილია! — ეს სახელი სიმბოლოა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, სიმბოლოა წრფელი მამულიშვილური გრძნობისა, ბედნიერი ცხოვრებისა და კიდევ უფრო ლამაზი, ნათელი მომავლისა. „თუნდაც მოვკვდე ქვეყნისათვის, ეს სიკვდილი სიცოცხლეა, — თქვა ილიამ და მადლიანმა ქართველმა ხალხმა გულის სიღრმეში სათუთად შეინახა მისი სახელი.

გულიზა ეთიშვილი,
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

ილიას ნაწარმოებები უცხოურ ენებზე

დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებები თარგმანების სახით ავტორის სიცოცხლეშივე სცილდებოდა საქართველოს საზღვრებს და როგორც რუს, ისე უცხოელ მკითხველთა მოწონებას იმსახურებდა. ილიას ნაწარმოებთა უცხოურ ენებზე მთარგმნელები და მისი ნიჭის დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ მ. უორდროპი, ა. ლაისტი, ქ-მურიე, ბარონ დე ბაი და სხვები.

მ. უორდროპი დიდად გატაცა ილიას „განდეგილმა“, რომელიც მას უთარგმნია ინგლისურ ენაზე. 1895 წ. ლონდონში ლექსად გამოცემულ „განდეგილს“ აღტაცებით გამოეხმაურნენ ინგლისის პრესაში.

ა. ლაისტმა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „კისრად იდო შეაკავშიროს ჩვენს და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენს გულში ამოწაფობის სიტყვა ჩვენი ქვეყნისა და გრძნების საუნჯე“. ლაისტი უცხოურ პრესაში ბეჭდავდა წერილებს საქართველოს შესახებ. 1887 წ. პოლონურ და გერმანულ ენაზე მან გამოაქვეყნა ქართული პოეზიის ანთოლოგია სახელწოდებით — „ქართველი პოეტები“, სადაც ილიას 10-მდე ლექსია მოთავსებული („გაზაფხული“, „ელეგია“, „ქართვლის დედას“, „გახსოვს ტურფავ“ და სხვ.). ამ წიგნის მეორე გამოცემაში (დრეზდენი, 1900 წ.) დამატებული რამდენიმე ლექსი (მათ შორის „პოეტი“, „ჩემს კალამს“, „ყაზბეგი“), „განდეგილის“ I და II თავი.

დრეზდენშივე მან გამოსცა წიგნი: **„Das georgishe Volk“**, რომელშიაც ილია ჭავჭავაძის შესახებაც წერს.

ფრანგულ ენაზე ჟურნალში **„Le caucase illustré“ 1899 — 1900 წლ.** გამოქვეყნებულია ილიას „განდეგილის“ თარგმანი პროზად, შესრულებული ამ ჟურნალის რედაქტორის ქ-მურიეს მიერ. იმავე ჟურნალშია მოთავსებული დავით კარიჭაშვილის წერილი ილიას შემოქმედების შესახებ და რედაქტორის შენიშვნა იმავე საკითხზე.

ბარონ დე ბაი მაღალ შეფასებას აძლევს ილიას შემოქმედებას — 1900 წ. პარიზის ჟურნალში — Revue de geographie".

აკად. მ. ბროსეს ფრანგულ ენაზე უთარგმნია „კაცია ადამიანი?!“ ამ თარგმანის 106 გვერდიანი ხელნაწერი ინახება ქ. ლენინგრადში — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

1909 წელს მესამედ გამოიცა პარიზში რომანის წიგნი „კავკასიის ჩადრახდილნი“, რომელშიაც შეტანილია ილიას „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისის ფრანგული თარგმანი.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმნას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როდესაც გაცხოველდა ინტერესი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი.

უნივერსიტეტის დოც. ვ. ურუშაძემ 1948 წ. გამოსცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ინგლისურ ენაზე. აღნიშნულ წიგნში ნათარგმნია „ქართვლის დედას“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „ბაზალეთის ტბა“ და „განდეგილი“. წიგნის ბოლოს სხვა მწერლებთან ერთად მოთავსებულია მოკლე ცნობები ილია ჭავჭავაძის შესახებ.

საზღვარგარეთ საერთოდ და განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსებისადმი დიდი ინტერესია, ითარგმნება ილიას ნაწარმოებები.

იენის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორს განსვენებულ რ. ბლაიხშტაინერს 1950 წ. უთარგმნია „ბაზალეთის ტბა“ და „ყაზბეგი“, რომლებიც იმავე წელს მოუთავსებია თავის „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“. იგი მოკლედ განიხილავს ილიას შემოქმედებას შრომაში — „საქართველო, გუშინ და დღეს“, რომელიც 1950 წ. გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე.

პრაღის უნივერსიტეტის პროფესორს, ჩვენი ლიტერატურის მოყვარულს იაროსლავ იედლიჩკას ჩეხურ ენაზე უთარგმნია ილიას „პოეტი“ და გამოუქვეყნებია ჩეხურ ჟურნალში — „Свет советов“.

ტ. კასრაძე,
ისტორიის მეცნ. კანდიდატი.

მხატვარ თ. ყუბანეიშვილის მიერ შესრულებული ილუსტრაცია „ოთარაანთ ქვრივიდან“ — გიორგი.

ილიას მამულში

ზედაზენიდან საგურამოსკენ
ბინდი ჩამოჰყვა ბილიკს შინდიანს,
შორნი მნათობნი ცაზე ჩამოხზდნენ,
მოდის ღამე და ისე მშვიდია,
თითქოს არ იყო ქვეყნად მტარვალი,
თითქოს ტყვიაც არ გაუსროლია,
ან არ ჩამხმარა სირცხვილის ალით
წიწამურთან რომ წყაროს მოლია...
კაკლები ისე აფენენ ჩრდილებს
და წყაროც ისევ ისე გრილია,
თითქოს ყოველდღე შუბლს
გაიგრილებს
და მუჭით დალევს ამ წყალს ილია...
. . . .
ბინდს ეპარება თრთოლვა ირმული
ხეები მიმქრალ სილუეტს ხვამენ,
ილევა ღამე როგორც ურმული,
ილიას ღამე.
ფიქრების ღამე.
მერე აიენებს შემოეკვრება
სხივი, რიერაჟის თაჭთით ნადები,
ძველ სავარძლებში როგორც ზებრები
თვლემენ და თვლემენ წელიწადები,

თამარ ჯავახიშვილი

ილია როგორც რედაქტორი

ილია ჭავჭავაძე არა მარტო სწორუპოვარი მწერალი იყო, არამედ შეუდარებელი პუბლიცისტი და ბრწყინვალე რედაქტორიც.

ძნელია დავასახელოთ სხვა, მეორე ქართველი მოღვაწე, რომელსაც ი. ჭავჭავაძის ოდენი ამაგი მიუძღოდეს მშობლიური ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

1863 წელს ილია იყო მის მიერ დაარსებული „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელი. 1877 წლიდან 1901 წლის 5 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა „ივერიას“, პარალელურად 1880 — 1881 წლებში ს. მესხთან ერთად რედაქტორობდა ყოველდღიურ გაზეთ „დროებას“.

ილიას რედაქტორული მუშაობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა ჟურნალ-გაზეთებისადმი იდეური ხელმძღვანელობა. იგი მტკიცედ და შეუპოვრად ატარებდა ალებულ ხაზს და გამოირჩეოდა მიზნის ერთიანობით — პრინციპულობით.

ილია ჟურნალ-გაზეთების რედაქტორობას ძირითადად სამი გზით ახორციელებდა: 1) წერდა მოწინავეებს, რომლებშიაც გამოხატული იყო გაზეთის მსოფლმხედველობა და რომლებიც გეზს აძლევდნენ მთელს ნომერს, 2) ადგენდა გაზეთის საერთო გეგმას და მიუთითებდა თანამშრომლებს, თუ რაზე ეწერათ, 3) სხვებთან ერთად იხილავდა და ასწორებდა შემოსულ მასალებს.

ილიასათვის, როგორც რედაქტორისათვის, დამახასიათებელია მომენტისა და სიტუაციის სწრაფი აღქმა და შესაბამისი ორიენტირება. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ფაქტების დროულად გამუქებას და მკითხველების რაც შეიძლება სწრაფ ინფორმირებას. ამიტომ ყოველმხრივ იკრებდა კარგ რეპორტიორებს და ენერგიულად აბამდა მათ საგაზეთო მუშაობაში.

ილიამ სისხლსავსე და მრავალწახნაგოვანი გახადა ქართული ჟურნალისტიკა. „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ თავიანთი წინამორბედი ბეჭდვითი ორგანოებისაგან განირჩეოდნენ არა მარტო იდეურობით, პრინციპულობითა და მიზნის ერთიანობით, არამედ მრავალფეროვნებითა და ახალ-ახალი საგაზეთო ჟანრების სიუხვით.

ილიამ შემოიღო განყოფილებები: „შინაური მიმოხილვა“, „ნაკვესი“, „დამაკვირდი“ და სხვა.

„შინაური მიმოხილვა“ წარმოადგენდა ჟურნალის სულსა და გულს, მის მთავარ განყოფილებას. თუმცა იგი მოთავსებული იყო „ივერიის“ ბოლო გვერდებზე, მაგრამ თავისი ხასიათით ჟურნალის დროშასა და მოწინავეს წარმოადგენდა. „შინაური მიმოხილვით“ ილიამ გამოასწორა ის ხარვეზი, რომელიც „საქართველოს მოამბეს“ გააჩნდა. ილია ამ ჟურნალის შესახებ შენიშნავდა, რომ მას ნაკლებად ჰქონდა დროების ინტერესი და კრებულს ჰგავდა. „ივერიის“ შინაური მიმოხილვა“ კი, სწორედ, „დროების ინტერესით“ იყო გამსჭვალული. „შინაურ მიმოხილვებში“ წამოჭრილი საკითხი ყოველთვის განხილელი მოწინავე პოზიციიდან და შეფასებულია ქართველი ერის კეთილდღეობის თვალსაზრისით.

ილიამ ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ ჟურნალისტიკაში. მან მშობლიურ ჟურნალისტიკაში პირველმა ფართოდ დანერგა კოლექტიური მუშაობის მეთოდი. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე მკითხველთა თათბირებისა და კრების შემოღება.

ილიას რედაქტორულ მუშაობაში ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი ადგილი უკავია თანამშრომელთა შემოკრებას და აღზრდას. იგი კორესპონდენტებს ეძებდა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და საზღვარგარეთაც. ილიამ იცოდა, რომ თანამშრომელთა სიმრავლესა და თითოეული მწერლის უნარზე, ჩამოყალიბებულ კონცეპციაზე იყო დამოკიდებული პრესაში გამოქვეყნებული მასალების მრავალფეროვნება-ხარისხი და ორგანოს წარმატება. მკითხველებს აინტერესებდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცხოვრება, ხალხის ჭირვარამი და ილიაც ადგილზე ეძებდა კორესპონდენტებს. მკითხველებს აინტერესებდათ რუსეთის ამბები, პეტერბურგ-მოსკოვის სიახლენი და ილია იქაც ქმნიდა კორესპონდენტთა ქსელს: მკითხველებს აინტერესებდათ მსოფლიოში მომხდარი ძვრები, საზღვარგარეთის, ევროპის ამბები და ილიაც იძულებული იყო, პარიზის ლათინურ კვარტალში მცხოვრებ თუ ციურიხის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველებისათვის ეთხოვა დახმარება.

თავისი რედაქტორული ტაქტიკითა და შორსმჭვრეტელობით ილიამ მოახერხა გაზეთის გარშემო ცნობილი მწერლებისა და მრავალრიცხოვანი კორესპონდენტების შემოკრება.

ილია — რედაქტორი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა ჟურნალისტების აღზრდას. იგი იახლოვებდა მათ, აძლევდა რჩევა-დარიგებებს, უსწორებდა და უბეჭდავდა ნაწარმოებებს, ყოველმხრივ ახალისებდა. ვფიქრობთ, ბევრის მეტყველია ის ფაქტი, რომ ილიამ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდა 19 წლის ალ. წულუკიძის ესკიზი „სოფლის სურათები“ და სრულიად ჭაბუკი, 16 წლის სოსელოს ლექსები. „ივერიის“ რედაქციაში ბევრი ახალგაზრდა ჟურნალისტი მუშაობდა.

ილიას მკაცრ საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა. საკმარისია გადავათვალიეროთ „საქართველოს მოამბის“ და „ივერიის“ ნომრები, რომ თვალში მოგვხვდეს მრავალწერტილთა გასაოცარი სიუხვე. ეს კი უშუალოდ ცენზურის „მსახვრალი“ ხელიდან მომდინარეობდა.

ილია — რედაქტორი ჩვენს წინაშე წარმოდგება ისევე ბუმბერაზულად, როგორც ილია — პოეტი და პროზაიკოსი.

ნოდარ ტაბიძე

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ილია ჭავჭავაძის სახელი მიანიჭა ქალაქ თბილისის მედიცინის მუშაკთა კლუბს (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყოფილი შენობა, სადაც მუშაობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ი. ჭავჭავაძე).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნივერსიტეტის ქუჩას უწოდა ილია ჭავჭავაძის პროსპექტი.

დურუჯთან ნათქვამი

და, ესეც შენი ყვარელი
და მოყვარენი მრავალი,
ვაზის მტევნების ცრემლები,
მზე ლაღად ამომავალი,
ალაზნის ველის ხოხბები,
ასულნი ყელ-ყურ ლამაზნი;
ვაჟები — მთების ჯიხვები —
ძარღვები დევურ ალაზნის.
შენს შესახვედრად მოსულან
ან ვინ არ მოგეწონება!
ლექსს გეტყვის ლაღი ხევსური —
მეხი დაეცეს წნორებთან...
მერე ცა თუნდაც გასკდებოდეს
გულში მზე იდგეს იხევე,
მთებს ტანზე თეთრი ნეწარი
შემოახვიონ ნისლებმა.
არ გვწყინდეს შემოდგომური
ქარით ფოთლები ცვენილი,
ოღონდ ამ მიწას დალოცვილს
შეერგოს შენი ცრემლივით.
შენ, სისხლო დაბადებიდან
წინამძღვრამდე ნალვარო,
კახური ვაზის სიცოცხლევ,
ქართულო სულო მაღალო!
მეც მემკვიდრე ვარ ვაჟაის
დამლოცე კალმის წვერითა,
მოეხულვარ მგზავრი გვიანი
საჯიხვეების სერითა.
მხურს ვიგრძნო ნისლი რას ფიქრობს
მთაზე რომ გდია მუნჯივით;
მითხარი, როგორ გადაეხსნა
გული — ლექსების ზურჯინი,
დალოცე ყველა, რომელმაც
მამულის ვალი იკისრა,
შენს სიტყვას მადლი ჰქონია
სინათლე მზის და ცისკრისა.
არ იქადაგებ მცდარადა,
ახდება განმეორებით.
ჩვენ გვახსოვს, როგორ დალოცე
ვაჟა და ვაჟი გორელი.
შენს შუბლს შევხედავთ და გული
შეილდივით მოიზიდება;
შენს მამულს — ქვეყნად სამოთხეს
არვის გავატანთ მზითევად.
რისხვად დავეცით ქვემძრომებს,
გველური გულის პატრონებს;
ის ტყვია მათვე დაჰკარით,
რითაც შენს სიკვდილს ნატრობდნენ.
იძინე, გულო ძლიერო,
ვაზის ცრემლებად დაღვრილო,
გლეხკაცის თვალთა სინათლევ,
მასზე ზრუნვაში დაღლილო.
რა უჭირს ცრემლმა დაალბოს —
მამულის ციდან ნამცვრევმა,
თუ ელირსება მთაკაცსა
სამშობლოს მთებთან წაქცევა.
იცოცხლებ, ვიდრე პერანგი
გამოიცვალონ ვეფხვებმა,
ვიდრე ექნება სიმტკიცე
კავკასიონის ხერხემალს.

ალაზა ხაიაური



ილიას სტუდენტობის პერიოდი

ცხოვრების მოვლენათა დიდი დაკვირვებისა და გაგება-გააზრების სალი ნიჭით დაჯილდოებული ილია გიმნაზიის დამთავრებისთანავე სწრაფად ითვალისწინებს თავისი ქვეყნის როგორც სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ მძიმე, დარღვეულ მდგომარეობას, ისე ცარიზმის ბიუროკრატიულსა და მცირე ერების ჩაგვრის პოლიტიკას. მასში მტკიცედ მუშავდება რწმენა, რომ ქვეყანას გადარჩენა-გაჯანსაღებისათვის განვითარების ახალი გზა სჭირდება. ეს გზა, ილიას გაგებით, ერთს რომელიმე კლასს თუ წოდებას კი არ უნდა ანიჭებდეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაძლებლობას, არამედ მთელ ხალხს.

მომავლის გზა, ილიას გაგებით, ხალხის ცხოვრებაში რადიკალურ გარდატეხას მოითხოვდა. მაგრამ როგორ? რა საშუალებით? ეს ჭაბუკი პოეტისათვის გარკვეული არ იყო. ამის შესაძლებლობას იმ დროის ჩვენი ცხოვრების სინამდვილე არ იძლეოდა.

ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო ახალი ისტორიული გზის ძიების საკითხმა აამოძრავა XIX საუკუნეში და განსაკუთრებით 60-იან წლებში რუსი მოწინავე საზოგადოებაც. იმ პერიოდში ამ საკითხის გარშემო იყო ატეხილი ბრძოლა მოწინავე რუსი საზოგადოებისა, განსაკუთრებით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისა, მთლიანად — ახალგაზრდა რუსეთისა.

აი ამ ახალგაზრდა რუსეთს მიაშურა ჩვენი 60-იანი წლების ახალგაზრდობის ვიწრო წრემ და მათმა საუკეთესო წარმომადგენელმა ილ. ჭავჭავაძემ, რომელიც 1857 წლის გაზაფხულზე პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა უმაღლესი განათლების მისაღებად.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს ილ. ჭავჭავაძე მთელი თავისი გიგანტური ბუნებით ხარბად და გაფაციცებით აკვირდება და სწავლობს განათლების გზაზე შემდგარი რუსეთის ცხოვრებას. ხარბად ისმენს უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორების: კ. კაველინის, ნ. კოსტომაროვის, ვ. სპასოვიჩის, სტასულევიჩის, ა. პიპინის თავისუფალ გაბედულ პროგრესულ აზრებს. თვალსა და ყურს ხარბად ადევნებს უნივერსიტეტსა და რუსულ მოწინავე საზოგადოებაში ატეხილ პროგრესულ მოძრაობას.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ჟურნალი „სოვრემენიკი" ჩვენი პეტერბურგელი ახალგაზრდობისა და კერძოდ ილ. ჭავჭავაძისათვის მოწინავე აზრთა შთამაგონებელ წყაროდ იქცა. ამ ჟურნალის მესვეურნი: ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი, ნ. ნეკრასოვი ილ. ჭავჭავაძის გზის მაჩვენებლები ხდებიან.

ილ. ჭავჭავაძე სტუდენტობის პერიოდში აარსებს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, რომლის ხელმძღვანელიც ხდება იგი საქართველოში დაბრუნებამდე. ამ წრეს მიზნად ჰქონდა ქართველი ახალგაზრდობის ძალთა მობილიზაცია, რათა იგი დაერაზმა სამშობლოსათვის სასარგებლო იდეებით.

ილ. ჭავჭავაძე დიდად აფასებდა რუსეთის მეცნიერებისა და ლიტერატურის როლს ქართველი ინტელიგენციის განვითარების საქმეში. ეს მშვენივრად ჩანს მისი „მგზავრის წერილებიდან": „ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აიდგმევინოს".

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს ილ. ჭავჭავაძე რუსული მეცნიერებისა და ლიტერატურის როლს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის საგრძნობად დიდი პერიოდის გავლის შემდეგ 1889 წ. ილია წერს: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა".

სტუდენტობისავე პერიოდში ილ. ჭავჭავაძე აგრეთვე დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალ-ყურს ევროპის ქვეყნების ცხოვრებასა და მეცნიერება-ხელოვნებას. იგი გატაცებით კითხულობდა ევროპის მეცნიერებს, მწერლებს. ამისი უტყუარი საბუთია მის მიერ სტუდენტობის პერიოდში გაკეთებული თარგმანები ბაირონის, გოეთეს, ჰაინეს, შილერის და სხვათა თხზულებებიდან.

ილ. ჭავჭავაძე დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ევროპაში წარმოებულ მცირე ერთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ცნობილია მისი აღფრთოვანებული დამოკიდებულება იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის გარიბალდისადმი გამოხატული ლექსში — „მესმის, მესმის".

მართლაც, ილ. ჭავჭავაძემ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროგრესისტი პროფესორების ლექციების, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციური მღელვარებისა და რუსეთის მოწინავე-მოაზროვნე საზოგადოების ანაკადებულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობის, აგრეთვე დასავლეთ ევროპის მოწინავე იდეების უდავო ზეგავლენით, მაგრამ, როგორც იგი იტყოდა, „საკუთარი კრიტიკის ქურ-ცეცხლში" გატარებით გააფართოვა და დახვეწა თავისი ჰუმანიური მსოფლმხედველობა. მან მტკიცედ შეიგნო, რომ კაცი ქვეყნის — სამშობლოს ბედშავ პირობებთან ბრძოლაში, სამშობლოსათვის თავდადებაში პოულობს თავის დანიშნულებას.

ილ. ჭავჭავაძემ აქვე რუსეთში მტკიცედ შეიგნო პოეტი-მოქალაქის ბრძოლის დემოკრატიული საფუძვლები, გამოთქმული ლექსში „ქართველ სტუდენტების სიმღერა":

„დიდს არ გავექცევენივართ
და მხარს მივხვევთ მიტარახა;
ძალას გულდაგულ დავხვდებით
და თავგანს ვსცემთ სამართალსა.
წინ წასვლაში არ დავიღლეთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
ულონოსა და დავრდომილს".

მწერლის დანიშნულებასაც ილ. ჭავჭავაძე ამგვარსავე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხედავს. უკუაგდებს რა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის", იგი დგება რეალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე („პოეტი").

* * *

ილ. ჭავჭავაძე ბრუნდება სამშობლოში ამ შეგნებითა და მიმართულებით, რაც ასე ცხოვლად, ასე ნიჭიერადაა განსახიერებული მის „მგზავრის წერილებში".

„მგზავრის წერილები" ილ. ჭავჭავაძის გულწრფელი აღსარებაა, ეს მისი მოღვაწეობის ძირითადი გეგმაა, პოეტურ სახეებში მოცემული. ილ. ჭავჭავაძე სამშობლოში ბრუნდება მოქმედების შემდეგი გეგმით: 1) ბრძოლა ქვეყნის ჩამორჩენილობასთან, მის დრომოჭმულ ჩვეულებებთან, 2) ახალი, მოწინავე იდეების გადმონერგვა ჩვენს ცხოვრებაში და მათი განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა, 3) ბრძოლა ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმებისათვის და 4) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა.

ილ. ჭავჭავაძემ რუსეთიდან დაბრუნებისთანავე იშვიათად შეხამებულ მთლიანობაში გაშალა ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა, როგორც პოეტმა და მოქალაქემ.

პროფ. მ. ზანდუკელი

ყვარელში

თავისთავად ლამაზი და მიმზიდველია კახეთის პატარა სოფელი — ყვარელი, მაგრამ იგი მით უფრო საყვარელია, რომ იგი დიდი ილიას სამშობლოა, რომ ყვარლის ზვიადი მთები, ერეკლეს დროინდელი გალავნის ნანგრევები და ყოველი ხე მოწმეა დიდი ადამიანის ბავშვობისა.

ამ რამდენიმე დღის უკან უჩვეულო გამოცოცხლება ეტყობოდა ილიას სოფელს. ყველგან საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა. ყვარლის მცხოვრებნი, რომელთათვის განსაკუთრებით ძვირფასია ილიას ხსოვნა, როგორც თავიანთი თანამემამულისა და მეზობლისა, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი სიხარულით დღესასწაულობდა ამ დიდი ადამიანის, დემოკრატი მწერლისა და მოქალაქის, დიდი საზოგადო მოღვაწის იუბილეს.

ყვარლის მოსახლეობასთან ერთად ერეკლეს დროინდელ გალავანში, სადაც მწვანე გრილიანდებში ჩაფლული სახელდახელოდ აგებული ესტრადა, შეკრებილან მოსკოვიდან, კიევიდან, მინსკიდან, რიგიდან, ერევნიდან, ბაქოდან და ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ისინი აქ ყველანი ერთად ზეიმობენ დიდი ილიას ხაიუბილეო დღეებს.

საზეიმო მიტინგს ხსნის ყვარლის რაიკომის მდივანი ამხ. ა. აპაზაშვილი.

— ყვარლის გლეხები — აღნიშნავს ამხ. აპაზაშვილი, — წარმატებებით ხვდებიან თავიანთი სახელოვანი წინაპრის ამ შესანიშნავ იუბილეს. დიდი ილიას სიყვარულით შთაგონებულნი, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა კიდევ მეტი მიღწევები მოვიპოვოთ. ამ მიღწევებით კიდევ უფრო ცნობილი გავხადოთ ილიას მშობლიური სოფელი.

— გილოცავთ თქვენი მიწა-წყლის შვილის გამარჯვებას, დიდებას და უკვდავებას! — ამბობს პოეტი აკადემიკოსი გრიგოლ ლეონიძე.

— ილია ჭავჭავაძე ახლობელი, ძვირფასი და მშობლიურია არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ ჩვენთვისაც. მან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ უფრო მტკიცე ყოფილიყო კავშირი ქართველ და რუს ხალხებს შორის — ამბობს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი ე. მარკოვი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან უკრაინელი მწერალი დიმიტრი კოსარიკი, ბელორუსი მწერალი ანატოლ ბელოუსი, პოეტი სანდრო შანშიაშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის I საშუალო სკოლის მოსწავლე მზია ხიტელაშვილი და სხვები.

მიტინგის შემდეგ მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების ძალებით გაიმართა კონცერტი. მოედნის ერთ კუთხეში გაჩაღდა ქართული ჭიდაობა.

ხალხით გაჭედილი გაჩირაღდნებული ეზო ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა. ფოტოკორესპონდენტები, კინოოპერატორები, დიქტორები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან ხელსაყრელი მომენტი. ყველაფერს იღებენ. ეზოს წიგნაკებში იწერენ. დიდი გულისყურით ათვალიერებენ სახლ-მუზეუმის ყველა ექსპონატს.

მწერალი ეპოქის სუნთქვით უნდა სუნთქავდეს, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს, სამშობლოსა და ხალხის ლხინს თუ ჭირს უნდა იზიარებდეს, ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით. ტანჯვის ცრემლებს უნდა სწმენდდეს ერს, მისი უბედობით უნდა სწუხდეს და მისი ლხინით ხარობდეს. ეს იცოდა ილიამ და ამ შეგნებით იგი დაუღალავად იბრძოდა თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის.

— ველარ გაწუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალს ქროლას, ველარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი ჭეშმარიტებით „ლძრულსა ბრძოლას, — ასე იწინასწარმეტყველა ილიამ და ეს წინასწარმეტყველება სინამდვილედ იქცა.

და დღეს კი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პატარა ყვარელი და ყვარლის მოსახლეობა სიხარულით ხვდებიან ილიას იუბილეს. ნინიკას ციხე ამაყად გადმოჰყურებს ყვარელს, თითქო ამბობს: „დიდო, ჩემს თვალწინ აიდგა ფეხი და აღიზარდა დიდი ილია".

ხელგაშლილი ხვდება ყვარელი ილიაობას, ხელგაშლილი ხვდება ილიას იუბილეზე ჩამოსულ სტუმრებს. ყველა ოჯახში სუფრაა გაშლილი, ყველგან გაისმის კახური მრავალჟამიერი. მრავალჟამიერ იყოს თქვენი ბედნიერება, სიხარული და ლხინი ყვარლის მკვიდრნო, მრავალჟამიერ იყოს დიდი ილიას ხსოვნა და დიდება!

ალექსანდრე შენგელია

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული..."



ილიაობას საგურამოში

პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთმა ნაცნობმა, ა. ერისთავმა, 1805 წლის ზაფხულში საგურამოში წამიყვანა ილიაობას. ასეთი პატივი—მენახა ილია და თავმოყრილი ქართველი მოწინავე საზოგადოება ილიას დღეობაზე—იმიტომ მხვდა მე წილად, რომ სტუდენტები საქართველოში მაშინ თითზე მოითვლებოდა და მათ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართველი საზოგადოება.

საგურამოში რომ ჩავედით და ილიას ვესტუმრეთ, უკვე შუადღისას, ხალხით სავსე იყო ილიას სახლი და ეზო. სახლში ჩვენი ქართველი მოწინავე საზოგადოების ბევრი ცნობილი წარმომადგენელი და ილიას პირადი ნაცნობები ირეოდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ, ნაწილი გარს შემოხვეოდა ილიას და მასთან გაემართა ბაასი. სახლის წინ ფართო ეზო, სადაც უხვად გაწყობილი სუფრა იყო გაშლილი, სავსე იყო საგურამოელი და არაგვისპირელი სოფლელებით, რომლებიც ილიას პატივსაცემად ჩამოსულიყვნენ.

ეზოში უცებ ხმაური ატყდა: საგურამოელებს და არაგვისპირელებს მოსვლოდათ რაღაც უთანხმოება, რომელიც სწრაფად დიდ ალიაქოთად გადაიქცა და იარაღზედაც კი მივიდა საქმე. ატყდა ქალების წივილ-კივილი, რომელიც მდგომარეობის სერიოზულობას ამჟღავნებდა.

გაიგო თუ არა ეს ილიამ, მაშინვე სახლიდან ეზოსკენ გამოეშურა და თავშიშველი დინჯად შეიჭრა ერთიმეორის საწინააღმდეგოდ მომზადებული ხალხის შუა გულში და დამშვიდებული, მეგობრული ხმით მიმართა აზიზოქრებულ სოფლელებს, რომ დამსხდარიყვნენ სუფრაზე, მიეღოთ მონაწილეობა მის მასპინძლობაში და შექცეოდნენ სადილს.

აზიზოქრებული ხალხი ილიას დანახვაზე უმალ შეჩერდა, დამშვიდდა და ნელ-ნელა ჩუმად მიუსხდა გაშლილ სუფრას.

მე საოცრად გამაკვირვა ამ ამბავმა: რამდენიმე წუთის წინ საგურამოელები და არაგვისპირელები რაღაც წალაპარაკების გამო ერთმანეთს მოხაკლავადაც არ ინდობდნენ და ახლა ილიას დამშვიდებული და მეგობრული რამდენიმე სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეს აზიზოქრებული ხალხი დამშვიდებულიყო, ერთად დამსხდარიყო და დრო კარგად გაეტარებინა.

სახლში თავმოყრილი საზოგადოება მთელი დღე და ღამე ლხინობდა, ერთობოდა ილიასთან და ერთმანეთთან საუბარში.

ილიაობას საგურამოში ყოფნამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა: დავინახე, თუ რა პატივისცემას გრძნობდა ილიას მიმართ არა მარტო მოწინავე ქართველი საზოგადოება და მისი მახლობელი ნაცნობები, არამედ სოფლელი მეზობლებიც.

მე ილია სკოლის მოწაფეობისასაც მენახა კრებებზე. მაგრამ აქ უფრო ახლო დავინახე ამ დიდი ადამიანის იშვიათი სულიერი ძალა, რომელიც ხიბლავდა ყოველ მის მნახველს.

პროფ. **ალ. ჯავახიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



რანაირად არ თხოვა ოლღამ ორიოდე დღით მაინც გადაედო გამგზავრება. ჰო, მგონი რაღაც სიზმარსაც იშველიებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბობდა მეუღლეს, რომელიც ასე ადრიანად აჩქარებულიყო, აივანზე გამოსული დაბლა, ეზოში იცქირებოდა და იქვე ჭიშკართან მდგარი ეტლისათვის ვერ მოეშორებინა მზერა. ილიამ ქვაავგდო და თავი შეუშვირა—ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არავითარ შემთხვევაში შინ აღარ დარჩებოდა. სიტყვიერად არაფერი არ უთქვამს ოლღასათვის, ისეთნაირად გადახედა, რომ ყველაფერი ამით დაამთავრა: დინჯი სახე, მუდამ რომ ღიმი ჰქონდა გადავლებული, მეუღლისაკენ ნელა მიაბრუნა, მერე შუბლზე ერთიანად შეჰყარა კოპები, თვალებშიც ელვა ჩაიყენა და სიტყვის ამოსათქმელად ღრმად ჩაისუნთქა. იგრძნო მეუღლემ, თუ რას ნიშნავდა ილიას ეს ქცევა. მიეჭრა, მარჯვენა ხელი ორივე ხელით დაუჭირა, მერე იმავე ხელს მხრით ზედ მიეკრა და გადაწყვიტა ერთხელ კიდევ ეთხოვა დარჩენილიყო, რადგან გული ცუდს უთქვამდა. მაგრამ ილიას სულაც არ მიუქცევია ამისათვის ყურადღება, მეუღლის ხელები ნელა, ცალი ხელით მოიშორა, ისე რომ არც დაუხედნია მათთვის, მერე აივანზე ორიოდე ნაბიჯი წინ წადგა, მოაჯირს გადაეყრდნო და ახლა მზერა ჭიშკართან გაჩერებულ ეტლიდან ეზოზე გადაიტანა. ამ დროს თავლიდან მეეტლე გამოვიდა — ცხენებისათვის საოფლეები მოჰქონდა. მეეტლისათვის სიტყვაც არ უთქვამს, ხოლო როცა ამ უკანასკნელმა ღიმილით ამოჰხედა აივანზე მდგარს და ქილიას კეშტ სახეს წააწყდა — ცოტა არ იყოს გაუკვირდა.

ოლღა ერთიანად შეცვლილიყო — ეს ახლაღა იგრძნო ილიამ, — როცა კარგად დაუკვირდა მეუღლეს. მსუქან სახეზე ხორცი ერთიანად ყვითლად ჩატეტკვოდა, თვალთა უპეები ჩაშავებოდა, უფრო ღრმა გახდომოდა და ირგვლივ თმებიც ისე ჩამოშლოდა, როგორც არასდროს მანამდე, ხოლო, როცა ფრთხილად ისწორებდა მათ, ხელებიც აღარ ემორჩილებოდა, უთრთოდა. თვითონაც საშინლად ღელავდა, თუმცა ცდილობდა მეუღლისათვის არაფერი არ შეემჩნევინებინა, უბრალოდ ჩაეტარებინა ყოველივე, მაგრამ ვერც კი ახერხებდა, ხოლო სახე—ეს ყვითელი, შეშინებული სახე, ყველაზე დიდი ნიშანი იყო იმისა, რომ რაღაც ძლიერ აწუხებდა და ვერ ეთქვა.

კარგად კი ვერც გამოიტანა სიზმრის შინაარსი. ახსოვს: ვითომ ყვარელში ილიას მამულში იყვნენ. საღამო იყო და ეზოში მდგარი ტოტებგაშლილი დიდი კაკლის ხის ქვეშ მსხდარნი წყნარად საუბრობდნენ, ისე წყნარად, რომ ერთმანეთის ხმაც ძლივს ესმოდათ—თითქოს ვიღაცის თუ რაღაცის ეკრძალებოდათ და ამიტომ ცდილობდნენ არ დაერღვიათ ეს მყუდროება. ილიამ წუთით რაღაც მოიმიზეზა, წამოდგა და სახლისაკენ გასწია. ისიც კარგად ახსოვს ოლღას, თუ როგორ ნელა, სვენებ-სვენებით მიდიოდა მეუღლე: შედგებოდა ხშირ-ხშირად, უკან მოჰხედავდა ხოლმე კაკლის ხის ქვეშ მჯდარს, არაფერს კი არ ეუბნებოდა და სახეს რომ უკან მიატრიალებდა, ისევ ნელა, ტაატით აგრძელებდა გზას ვიწრო ბილიკზე ბაღიდან სახლამდე. მერე ისიც იყო, ჩაილია ილიას სილუეტი საღამოს ბინდბუნდში და გრიგალიც ამოვარდა სწორედ ისეთი, როგორიც არასოდეს არ ახსოვს მას. ერთიანად შეიცვალა სურათი, ხეები შრიალით აზმაურდნენ, ქარმა მოხვეტა ყვითელი ფოთლები და ბაღის თავზე დაატრიალა. მერე მისმა სიძლიერემ დიდ კაკალსაც უწია და ეს ვეება, მიწაში ძლიერად ფესვებგადგმული ხეც პატარა, ნორჩი ნერგივით დაარწია. უეცრად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ოლღამ კინაღამ იყვირა და სწორედ ის წუთი იყო — კიდეც იქუხა. ელვამ ზედიზედ გაჰკვეთა ცის მკერდი, ჯერ წვრილი, მერე კი სწრაფად მსხვილი წვიმა წამოვიდა, ხოლო სულ ბოლოს ეს წვიმაც ხოშკაკალამ შეცვალა, გასაქცევად გამზადებულ, ამინდის უეცარი შეცვლით შეშფოთებულ ოლღას გზა ქუხილმა მოუჭრა, მუხლმოკვეთილივით შედგა ერთ ადგილზე, აწრიალდა. სახეზე ხელები აიფარა და კაკლის ხის ძლიერ მკერდს მიეკრა, მაგრამ-ამ სიმძლო საყრდენმაც უმტყუნა — ნელა გადაიხარა ხე, ვეებერთელა გაშლილ ქოლგასავით წამოვიდა ერთ მხარეს და გვიან-გვიან ხმაურით დაეცა წყლის ტბორში, რომელიც ეზოში უკვე მუხლებამდე იდგა. ქარმა ძლიერად შემოუქროლა, ოლღა მცირე ხანს იდგა ასე—სახეზე ხელებაფარებული—შუა ეზოში და მუხლებამდე წყალშემომდგარს ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ მოეხერხებინა. ბოლოს ქუხილმა რომ გადაიარა და ოდნავ გამოკვეთულმა ეზოს გახედა — ვეღარაფერი ვეღარ თქვა. მთელს ეზოში უცხო ხალხი ირეოდა, ვერც ერთი სახე ვერ იცნო მან. ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მუხლებმოკვეთილი იქვე ჩაეცა. ქარში თმები გაშლოდა. ხალხისაკენ მიებრუნებინა სახე, ყვირილი უნდოდა და ვერ დაეყვირა. წყლიდან ვილაცას ხელებს უწვდიდა, წვალობდა და იხრჩობოდა... ამ წვალებაში გაეღვიძა. საწოლში სცურავდა ერთიანად. საწოლიდან სწრაფად გადმოიჭრა და მეუღლის ოთახისაკენ გაექანა, მაგრამ ილია იქ არ დახვედრია, აივანზე გამოსულმა კიბეზე ამომავალ მეუღლეს მოჰკრა თვალი, გაეხარდა, სახე გაეხსნა. ღიმილი შეაგება, მაგრამ ილიას ამ ღიმილისათვის არ უპასუხნია, კიბიდანვე შენიშნა ოლღას — საწოლიდან თავის ტკივილი ამყვაო.

ახლა უკვე მეტი საბაბი ჰქონდა ოლღას ქმრისათვის ეთქვა, რომ გამგზავრება რამდენიმე დღით გადაედო, რადგან იცოდა ქმრის კეთილი ხასიათი, თუ რამე განსაკუთრებულს შენიშნავდა მეუღლეს, აუცილებლად მასთან ერთად ოთახში შევიდოდა, პირდაპირ დაუჯდებოდა და ყოველივეს გამოკითხავდა. მაგრამ დღეს ასეთი ვერაფერი შენიშნა. სულ სხვანაირად გამოიყურებოდა ილია, არა ისე, როგორც გუშინ ან გუშინწინ, არამედ რაღაც განსაკუთრებულად.

აკაკი ძინძიბაძე

(გაგრძელება იქნება)



ილიას სახლ-მუზეუმი საგურამოში



ილიასეული კაკლის ხე

თავისი მჩქნებარე ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ილიამ საგურამოში გაატარა. აქაა დაწერილი მისი ბევრი შესანიშნავი ქმნილება.

ილია ჭავჭავაძის მდიდარმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ საყოველთაო აღიარება მხოლოდ ჩვენს დროში მიიღო. მისი ნაწარმოებები ათიათასიანი ტირაჟებით იბეჭდება.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.
ტირაჟი 2 000. უე 04057.